დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109240882**
თარიღი:**28/03/2024**

დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს:

ა) „დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი“ ამ განკარგულების დანართი №1-ის შესაბამისად.

ბ) „სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების და გადახდის სისტემის დანერგვის წესი“ ამ განკარგულების დანართი №2-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის სერვის ჯგუფი“ (ს/ნ 428881481).

3. ავტობუსების სამარშრუტო გასვლის დრო განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ბილეთის გარეშე მგზავრობაზე ან არაუფლებამოსილი პირის მიერ ბარათით სარგებლობაზე რეაგირების მექანიზმები.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 12 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი №1

დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი

მარშრუტის №	მარშრუტი	მარშრუტის უკუ მიმართულება	ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა
1	ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N56 (ცენტრალური პარკის მიმდებარედ) - ქ. თბილისი (ორთაჭალის ავტოსადგური)	ქ. თბილისი (ორთაჭალის ავტოსადგური) - ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N56 (ცენტრალური პარკის მიმდებარედ)	1
2	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. გომარეთი - ქ. თბილისი (ორთაჭალის ავტოსადგური)	ქ. თბილისი (ორთაჭალის ავტოსადგური) - დმანისის მუნიციპალიტეტის ს. გომარეთი	1

დანართი №2

სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების და გადახდის სისტემის დანერგვის წესი

მუხლი 1.

1. „სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების და გადახდის სისტემის დანერგვის წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის ტარიფის ოდენობას, უფასოდ მგზავრობის უფლების მქონე პირების კატეგორიას, ელექტრონული საბარათე სისტემით გადახდის წესს და ელექტრონული ბარათების დამზადების პირობებს.

2. მგზავრთა გადაყვანისას, სამგზავრო ტარიფი განისაზღვრება 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2.

მგზავრთა გადაყვანისას, უფასო მგზავრობის უფლება მიეცეთ:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტებს.

მუხლი 3.

1. მგზავრი ვალდებულია ამ განკარგულებით განსაზღვრულ მარშრუტებზე M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობისთვის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფით განსაზღვრული თანხა გადაიხადოს ელექტრონული გადახდის საშუალებით.

2. რეგულარული სამგზავრო გადაყვანის გადახდის სისტემას ნერგავს და ამ განკარგულებით განსაზღვრული მგზავრობის საფასურის მოკრებას ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეული შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტი, რომელიც გადახდის სისტემის მოწყობის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფს მგზავრებისათვის სამგზავრო პლასტიკური ბარათების/საბანკო პლასტიკური ბარათების დამზადებასა და გაცემას.

3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიენიჭოს უფლებამოსილება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელ უფლებამოსილ სუბიექტთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული მგზავრობის ტარიფი ჩაირიცხოს დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის სერვის ჯგუფის“ (ს/ნ 428881481) ანგარიშზე და მიღებული შემოსავალი მოხმარდეს დმანისის მუნიციპალიტეტის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის უზრუნველყოფას.

მუხლი 4.

1. უფასო მგზავრობის უფლების მქონე პირების მგზავრობა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეული ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული სამგზავრო პლასტიკური ბარათების/საბანკო პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

2. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის (ბარათის გამცემი) მიერ გაცემული ბარათის დაზიანებისას ან დაკარგვისას, თუ ორივე შემთხვევაში წარმოიშვა ახალი ბარათის გაცემის აუცილებლობა, ბარათის აღდგენის თხოვნით ბარათის გამცემს მიმართავს ბარათის კანონიერი მფლობელი და ბარათის აღდგენისთვის მასვე ეკისრება ბარათის გამცემის ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადახდა.

მუხლი 5.

უფასო მგზავრობის უფლების მქონე პირებზე გასაცემი სამგზავრო პლასტიკური ბარათის/საბანკო პლასტიკური ბარათის გაცემის აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს მონაცემთა ბაზები, რომელზეც წვდომა უნდა ჰქონდეთ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას ან/და ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილ სუბიექტს.